ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

განკარგულება:**გ-13.13213372**
თარიღი:**03/12/2021**

სამანდატო დროებითი კომისიის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების პირველი სხდომების მოწვევის შესახებ'' საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის №372/2021 განკარგულების საფუძველზე, შემდგარი ახალარჩეული ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, **გადაწყდა:**

1. შეიქმნას ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისია სამი წევრის შემადგენლობით.
2. დამტკიცდეს ახალარჩეული ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის შემდეგი შემადგენლობა:
   ა) მარიამ გოგოლაძე- კომისიის თავმჯდომარე ,
   ბ) ნინო მიქაბერიძე - მდივანი,
   გ) ვლადიმერი კურტანიძე - წევრი.
3. დაევალოს კომისიას: შეისწავლოს №37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია - საარჩევნო ოქმები, არჩევნების შედეგების მასალები, მათი ჩატარების სისწორის, შესული საჩივრების თაობაზე, განცხადებები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების, საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის შესახებ, საკრებულოს ამცნოს ფრაქციათა შექმნის შესახებ, საკრებულოს წარუდგინოს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე დასკვნა.
4. კომისია საქმიანობას წყვეტს საკრებულოს შესაბამისი ფუნქციის მქონე მუდმივმოქმედი კომისიის არჩევისთანავე.
5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ზოია ბალიაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სხდომის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი